საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 81[1] მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას.

გიორგი მარგველაშვილი

№ 07-1/134
6 05 2015
18 საათი

N4494
6.05.2015

საქართველოს მთავრობის შემადგენლობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი	-	**ირაკლი ღარიბაშვილი**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	-	**თამარ სანიკიძე**
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი	-	**გიგლა აგულაშვილი**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	-	**გიორგი კვირიკაშვილი**
საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი	-	**კახა კალაძე**
საქართველოს თავდაცვის მინისტრი	-	**თინათინ ხიდაშელი**
საქართველოს იუსტიციის მინისტრი	-	**თეა წულუკიანი**
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი	-	**მიხეილ გიორგაძე**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი	-	**სოზარ სუბარი**
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი	-	**ნოდარ ჯავახიშვილი**
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი	-	**თამარ ბერუჩაშვილი**
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი	-	**გიორგი მღებრიშვილი**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი	-	**ოთარ დანელია**
საქართველოს სპორტისა და ახალგაზ-		

რდობის საქმეთა მინისტრი	-	**ტარიელ ხეჩიკაშვილი**
საქართველოს ფინანსთა მინისტრი	-	**ნოდარ ხადური**
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	-	**ვახტანგ გომელაური**
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	-	**დავით სერგეენკო**
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევრო-პულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	-	**დავით ბაქრაძე**
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში	-	**პაატა ზაქარეიშვილი**
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში	-	**გელა დუმბაძე**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბრძანება

№398 2014 წლის 4 ნოემბერი ქ. თბილისი

ი. ალასანიას საქართველოს თავდაცვის მინისტრის
თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს **ირაკლი ალასანია** საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან.

ი. ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბრძანება

№399 2014 წლის 4 ნოემბერი ქ. თბილისი

მ. ჯანელიძის საქართველოს თავდაცვის მინისტრად
დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს **მინდია ჯანელიძე** საქართველოს თავდაცვის მინისტრად.

პ. ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№168 2015 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

მ. ჯანელიძის საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან
გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს მინდია ჯანელიძე საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№169 2015 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

თ. ხიდაშელის საქართველოს თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს თინათინ ხიდაშელი საქართველოს თავდაცვის მინისტრად.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბრძანება

N 403 2014 წლის 5 ნოემბერი ქ. თბილისი

მ. ფანჯიკიძის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს მაია ფანჯიკიძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 419 2014 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი

თ. ბერუჩაშვილის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს **თამარ ბერუჩაშვილი** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბრძანება

N 402 2014 წლის 5 ნოემბერი ქ. თბილისი

ა. პეტრიაშვილის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს **ალექსი პეტრიაშვილი** ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 424 2014 წლის 14 ნოემბერი ქ. თბილისი

დ. ბაქრაძის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79–ე მუხლის მე–5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს **დავით ბაქრაძე** საქართველოს სახელმწიფო მინისტრად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N21 2015 წლის 26 იანვარი ქ. თბილისი

ა. ჭიკაიძის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძ-ველზე, გათავისუფლდეს ალექსანდრე ჭიკაიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№23 2015 წლის 26 იანვარი ქ. თბილისი

ვ. გომელაურის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს ვახტანგ გომელაური საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

პ. ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N136 2015 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

დ. შავლიაშვილის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს **დავით შავლიაშვილი** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობიდან 2015 წლის 21 აპრილიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N137 2015 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

ნ. ჯავახიშვილის საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძ-ველზე, დაინიშნოს **ნოდარ ჯავახიშვილი** საქართველოს რეგიონული გან-ვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N162 2015 წლის 29 აპრილი ქ. თბილისი

ლ. ყიფიანის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს **ლევან ყიფიანი** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№166 2015 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

ტ. ხეჩიკაშვილის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს ტარიელ ხეჩიკაშვილი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N158 2015 წლის 28 აპრილი ქ. თბილისი

ე. ხოკრიშვილის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს **ელგუჯა ხოკრიშვილი** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თანამდებობიდან 2015 წლის 29 აპრილიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№167 2015 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

გ. აგულაშვილის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს გიგლა აგულაშვილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად.

ირაკლი ღარიბაშვილი

ცნობა

ირაკლი ღარიბაშვილი დაიბადა 1982 წლის 28 ივნისს.

2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (სპეციალობა - საერთაშორისო ურთიერთობები).

2002-2004 წლებში სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე (საფრანგეთი).

2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მაგისტრატურა, საერთაშორისო ურთიერთობები).

2001–2002 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სტაჟიორი.

2004-2005 წლებში იყო შპს „ბურჯის" (ქართუ-ჯგუფი) ლოჯისტიკის დეპარტამენტის საგარეო შესყიდვების განყოფილების მენეჯერი, ხოლო შემდეგ, ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

2005 წლის ოქტომბრიდან 2008 წლის ნოემბრამდე მუშაობდა სს „ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტის თანაშემწედ.

2005 წლის დეკემბერში დაინიშნა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" გამგეობის თავმჯდომარედ - გენერალურ დირექტორად.

2006 წლის აგვისტოდან 2012 წლის 25 ოქტომბრამდე იყო საქართველოში სან-მარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულის პირადი წარმომადგენელი.

2007 წლის დეკემბრიდან 2012 წლის თებერვლამდე იყო სს „ბანკი ქართუს" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2012 წლის 15 თებერვლიდან იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელი წევრი და პარტიის სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

2013 წლის 20 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

ცნობა

თამარ სანიკიძე დაიბადა 1978 წლის 30 აგვისტოს, ქ. თბილისში.

1995-1999 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

2000 წელს დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სახელმწიფო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა.

2003-2007 წლებში სწავლობდა სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსზე - გლაზგოს უნივერსიტეტის პროგრამა, თბილისის ოფისში.

2011 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა მართვის ამერიკული ასოციაციის (AMA) მიერ ორგანიზებული ტრეინინგი.

1998-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროში წამყვან სპეციალისტად.

2000-2001 წლებში იყო თბილისის გამრიცხველიანების პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების შემფასებელი, ხოლო 2001-2003 წლებში - ფინანსური დირექტორის მოადგილე.

2003-2005 წლებში მუშაობდა სს „თელასის" ქსელის განვითარების დეპარტამენტში ეკონომისტად.

2005 წლიდან 2009 წლამდე იყო ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროექტში (CELD) (ურბანული ინსტიტუტის წარმომადგენლობა საქართველოში (UI)) რესურსების მართვის პროგრამის კოორდინატორი, შესყიდვების მენეჯერი და ფინანსური დირექტორი.

2009-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ფინანსურ მენეჯერად.

2008-2012 წლებში მუშაობდა ლექტორად, კორპორატიულ და ბიზნეს სამართალი, სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია - თბილისი.

2010 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფინანსური დირექტორი.

2012 წელს მუშაობდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორად.

2012 წლის 29 ოქტომბრიდან 2013 წლის 18 ივლისამდე იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, 2012 წლის 2 ნოემბერს დაინიშნა პირველ მოადგილედ.

2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2012 წლის 2 ნოემბრამდე და 2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 3 აპრილამდე იმავდროულად იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი.

2013 წლის 18 ივლისს დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ცნობა

გიგლა აგულაშვილი დაიბადა 1964 წლის 25 მაისს.

1990 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

1990-1994 წლებში იყო საგარეჯოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელი.

1994-1997 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომ-ძიებელი, ხოლო 1997 წლიდან 1999 წლამდე საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსის მოადგილე.

1999-2001 წლებში იყო კახეთის საოლქო პროკურორი.

2001 წლიდან 2002 წლამდე იყო ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონუ-ლი პროკურორი.

2002-2003 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსი.

2003-2004 წლებში - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, შემდეგ, ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზირებისა და ფონდების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი.

2005-2012 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელი მდივანი.

1997 წლის 17 თებერვალს დაჯილდოვდა „ღირსების მედლით" საქართველოში კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

სხვადასხვა წლებში მინიჭებული აქვს სპეციალური წოდებები: მესამე კლასის იურისტი (05.11.1991წ.), მეორე კლასის იურისტი (07.04.1994 წ.), პირველი კლასის იურისტი (ვადამდე-20.10.1995წ.), იუსტიციის უმცროსი მრჩეველი (ვადამდე - 02.12.1998წ.) და იუსტიციის მრჩეველი (ვადამდე-29.05.1999წ.).

2012 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ფლობს რუსულ ენას.

ცნობა

გიორგი კვირიკაშვილი დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს.

1984 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა.

1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (სპეციალობა - მრეწველობის დაგეგმვა).

1986–1988 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1997–1998 წლებში სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის უნივერსიტეტში (University of Illinois at Champaign-Urbana, IL, USA) და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

1993-1996 წლებში მუშაობდა „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" (საწყისი პოზიცია – აკრედიტივების ოფიცერი, საბოლოო პოზიცია – საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე).

1996–1997 წლებში იყო „ექსპორტ–იმპორტ ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი.

1998–1999 წლებში იყო „გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალების მართვის დეპარტამენტის დირექტორი.

1999 წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ფისკალური, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილედ, საქართველოს მთავრობისა და USAID-ის ერთობლივი პროგრამის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელად.

1999–2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომიტეტის წევრი.

2004–2006 წლებში მუშაობდა „პირველ კომერციულ ბანკში".

2006–2011 წლებში იყო ბანკი „ქართუს" გენერალური დირექტორი.

2012 წელს მუშაობდა ლენზი-ფიშერ-ჰენდრის (Lenzie Fisher Hendry LLC – Economic Development Consulting) ეკონომიკური განვითარების საკონსულტაციო კომპანიაში;

USAID-ის საპენსიო რეფორმა სომხეთის რესპუბლიკაში, ფინანსური ინსტიტუტების კომპონენტი;

მსოფლიო ბანკის პროექტი მალდივების რესპუბლიკაში – დახურული კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად.

2013 წლის 26 ივლისს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ცნობა

კახა კალაძე დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს.

2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

2001, 2002, 2003, 2006 წლებში იყო საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი, მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი.

2007 წლიდან იყო საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის „კალა კაპიტალის" დამფუძნებელი და ბენეფიციარი მესაკუთრე.

2008 წლიდან - სს „პროგრეს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქველმოქმედო ფონდის „კალა ფონდის" დამფუძნებელი.

1993-2012 წლებში იყო პროფესიული საფეხბურთო კლუბების (დინამო თბილისი, დინამო კიევი, მილანი, ჯენოა) ფეხბურთელი.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად, ხოლო 2013 წლის 4 მაისიდან საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

ფლობს რუსულ, იტალიურ და ინგლისურ ენებს.

ცნობა

თინათინ ხიდაშელი დაიბადა 1973 წლის 8 ივნისს, ქ. თბილისში.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1996 წელს საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი (ბუდაპეშტი), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა (ბუდაპეშტი), ვაშინგტონის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურა.

არის საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი.

1994-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, მთავარ სპეციალისტად.

1996-1997 წლებში იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტი.

1997-1999 წლებში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის დირექტორი.

2000-2004 წლებში იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დირექტორი.

2002-2004 წლებში სახელმწიფო ანტიკორუფციული საბჭოს წევრი.

2004-2005 წლებში ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა.

2005 წლიდან - საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტანტი სამართლის უზენაესობის, კორუფციასთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში (გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარიატი, გაეროს განვითარების პროგრამა, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, ევროპის საბჭო, წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია, წამების პრევენციის ასოციაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა.).

2005-2009 წლებში - საერთაშორისო მდივანი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია.

2009-2012 წლებში - დედაქალაქის საქმეთა მდივანი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია.

2010-2012 წლებში თბილისის საკრებულოს წევრი, საარჩევნო ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის" ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი.

2012 წლის ოქტომბრიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" თავმჯდომარის მოადგილე.

2015 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

თეა წულუკიანი დაიბადა 1975 წლის 21 იანვარს, ქ. თბილისში.

1992 წელს დაამთავრა ლიონის (საფრანგეთი) ამპერის სახელობის ლიცეუმი.

1997 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

1998 წელს დაამთავრა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიის აკადემია.

1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში.

1998 წელს წარმატებით ჩააბარა საკონკურსო გამოცდა საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (ENA), რომელიც ექვემდებარებოდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრსა და პრეფექტებს. სწავლის პერიოდში მუშაობდა სარტის დეპარტამენტის (დასავლეთ საფრანგეთი) პრეფექტის კაბინეტში ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე.

2000 წელს დაამთავრა სახელმწიფო მართვის სკოლა და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრაციაში(MPA).

2000 წლის სექტემბერში ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი (იურისტი).

2005 წელს მიენიჭა უფროსი იურისტის საკლასო ჩინი.

2006 წლიდან იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი.

2009 წლიდან იყო მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე. 2010 წლის თებერვალს გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და დაბრუნდა საქართველოში.

2010 წლის 15 მაისს შეუერთდა თავისუფალ დემოკრატებს, როგორც პარტიის თავმჯდომარის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.

ცნობა

მიხეილ გიორგაძე დაიბადა 1967 წლის 25 აპრილს, ქ. თბილისში.

1984-1991 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

1991 წელს გაიარა ევროპული მენეჯმენტის პროგრამა ქ. ბრიუსელში.

1992-1993 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის დეპარტამენტის სახელმწიფო მრჩეველი.

1993-1994 წლებში მუშაობდა საგარეო ეკონომიკური საკითხების კომიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დეპარტამენტის უფროსად.

1994-1997 წლებში მუშაობა განაგრძო არასამთავრობო ორგანიზაციაში - „მსოფლიო ლაბორატორია“ პროექტების მენეჯერად.

2001 წელს მუშაობდა ლონდონში ბი-ფი-არ პროდაქშენს პროგრამის „ხელოვნების მენეჯმენტის“ კონსულტანტად.

2003-2005 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერი.

1998 წლიდან არის „ისთენ პრომოუშენსის“ გენერალური მენეჯერი.

2005 წლიდან 2014 წლამდე იყო თბილისის საკონცერტო დარბაზის დირექტორთა საბჭოს წევრი.

2014 წლის 23 ივლისს დაინიშნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ცნობა

სოზარ სუბარი დაიბადა 1964 წლის 4 ნოემბერს, მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში.

1995 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის ფაკულტეტი.

1981-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

1989 წლიდან 1995 წლამდე მსახურობდა დავით გარეჯის მონასტერში, დმანისის სიონისა და ივერიის ღვთისმშობლის ტაძრებში მედავითნედ.

1993 წელს მონაწილეობდა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში.

1995-2000 წლებში იყო გაზეთ „კავკასიონის" კორესპონდენტი, შემდგომში რედაქტორი, აგრეთვე რადიო „თავისუფალი ევროპის" კორესპონდენტი საქართველოში.

1998-2001 წლებში იყო ლონდონის ომისა და მშვიდობის რეპორტაჟების ინსტიტუტის კორესპონდენტი.

2002 წელს დააფუძნა კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი.

2003-2004 წლებში მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფლების ინსტიტუტში პროექტის - კანონის უზენაესობის- დირექტორი.

2004-2009 წლებში იყო საქართველოს სახალხო დამცველი.

2009 წელს აირჩიეს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად, ხოლო 2014 წლის 26 იანვარს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად.

2014 წლის 21 ივლისს დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრად.

ცნობა

ნოდარ ჯავახიშვილი დაიბადა 1954 წლის 7 ოქტომბერს, ქ. სიღნაღში.

1977 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ფინანსები და კრედიტი.

1977 წლიდან 1983 წლამდე მუშაობდა სახალხო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მძიმე მრეწველობის დაკრედიტების სამმართველოს უფროს ეკონომისტად, საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროს ეკონომისტად, მძიმე მრეწველობის დაკრედიტების სამმართველოს უფროსად.

1983-1985 წლებში იყო სახალხო ბანკის ქ.რუსთავის განყოფილების მმართველი.

1985-1991 წლებში - სახალხო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის საგეგმო - ეკონომიკური სამმართველოს უფროსი, ბანკების საქმიანობის კოორდინაციის სამმართველოს უფროსი, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

1991-1992 წლებში იყო თბილისის უნივერსალური ბირჟის პრეზიდენტი.

1992-1993 წლებში იყო ბინსოც ბანკის ისნის განყოფილების მმართველი.

1993-1998 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

1999-2004 წლებში არის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე.

2011-2014 წლებში იყო სს „ქართუ ბანკის" - გენერალური დირექტორი, საზედამხედველო საბჭოს თავმჯდომარე.

2014 წლის 5 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ.

2015 წლის 21 აპრილს დაინიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

თამარ ბერუჩაშვილი დაიბადა 1961 წლის 9 აპრილს, ქ. თბილისში.

1985 წელს დაამთავრა ქ. მოსკოვის პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ფიზიკა - მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

1998 წელს დაამთავრა ინდიანას უნივერსიტეტის (აშშ) საერთაშორისო და შედარებითი ურთიერთობების ფაკულტეტი.

2006 წელს მიიღო ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაცია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უინვერსიტეტში.

1986-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე.

1991-1993 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს საერთაშორისო განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

1993-1996 წლებში მუშაობდა ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების პროგრამა „ტასისის" საკოორდინატორო ბიუროს პროექტის ადმინისტრატორად - დირექტორის მოადგილედ.

1998 წლის ივნისიდან სექტემბრამდე დანიშნული იყო საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილედ.

1998-2000 წლებში იყო საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი.

2000-2003 წლებში ეკავა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

2003-2004 წლებში - სახელმწიფო მინისტრის მოადგილეა.

2004 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე იყო ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი.

2004 წლის დეკემბრიდან 2010 წლის დეკემბრამდე მუშაობდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილედ.

2011 წლის იანვრიდან 2012 წლის ნოემბრამდე იყო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მთავარი მრჩეველი.

2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის პირველ მარტამდე ეკავა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

2013 წლის პირველი მარტიდან 2014 წლის 6 ნოემბრამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

2014 წლის 6 ნოემბერს დაეკისრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შესრულება.

2014 წლის 11 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად.

2000 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

გიორგი მღებრიშვილი დაიბადა 1970 წლის 9 მაისს, ქ.თბილისში.

1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, იურისტის კვალიფიკაციით.

1998-2004 წლებში იყო შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი.

2004-2007 წლებში იყო ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის გამომძიებელი.

2007 წლიდან 2013 წლამდე მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის-საბაჟო საგუშაგოს თბილისის აეროპორტის უფროსად; რუსთავის რეგიონალური ცენტრის საბაჟო ოპერაციების დამუშავების საპატრულო განყოფილების უფროსად; რუსთავის რეგიონალური ცენტრის უფროსის მოადგილედ; ფოთის რეგიონალური ცენტრის უფროსის მოადგილედ; იყო ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დასავლეთის პორტალის მთავარი სამმართველოს უფროსი; პრევენციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საბაჟო დეპარტამენტის უფროსი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

2013 წელს დაინიშნა შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს სამმართველოს უფროსად.

2013 წლის 13 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები და ქალაქი რუსთავი) სახელმწიფო რწმუნებულად-გუბერნატორად.

2014 წლის 22 ივლისს დაინიშნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად.

მინიჭებული აქვს პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ფლობს რუსულ ენას.

ცნობა

ოთარ დანელია დაიბადა 1979 წლის 21 სექტემბერს, ქ. სენაკში.

1996-2000 წლებში სწავლობდა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სპეციალობით. 1997-2002 წლებში სწავლობდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

2010 წელს დაამთავრა თავისუფალი უნივერსიტეტის მართვის ევროპული სკოლა და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნეს ადმინისტრირებაში.

1999 წელს მუშაობა დაიწყო „Northrop Grumman" (საქართველოს კოსმოსური კონტროლის პროექტი) პროექტების მენეჯერის ასისტენტად.

2001-2004 წლებში იყო გაეროს დამკვირვებელთა მისია საქართველოში EDP ასისტენტი.

2004-2007 წლებში მუშაობდა რეგიონალურ წარმომადგენლად „გაეროს ოპერაციები კოტ დ,ვუარში".

2008-2011 წლებში იყო „ბანკი რესპუბლიკა-ჯგუფი სოსიეტე ჟენერალში" პროექტის მენეჯერი, შემდეგ, პროექტებისა და ბიზნეს ანალიზის დეპარტამენტის უფროსი.

2011 წელს მუშაობა განაგრძო სს „სილქნეტში" მონიტორინგისა და სტანდარ-ტიზაციის მენეჯერად. იყო დირექტორთა საბჭოს წევრი.

2011-2013 წლებში მუშაობდა შპს უშიშროების სამსახურში DETI აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე.

2013 წლის იანვრიდან 2014 წლის აპრილამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

2014 წლის იანვრიდან 2014 წლის აპრილამდე მუშაობდა სსიპ - საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოს დირექტორად.

2014 წლის 11 აპრილიდან 2014 წლის 22 ივლისამდე იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე.

2014 წლის 22 ივლისს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად.

ცნობა

ტარიელ ხეჩიკაშვილი დაიბადა 1970 წლის 13 თებერვალს.

2002 წელს დაამთავრა სამოქალაქო ინსტიტუტი „კაბადონი“ სამართალ-მცოდნეობის სპეციალობით.

1995-1999 წლებში იყო შპს „ტაროს“ დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი.

1999-2001 წლებში იყო შპს „იბერმობილის“ დამფუძნებელი პარტნიორი და დი-რექტორი.

2001 წლიდან არის ბიზნეს გაერთიანება იბერია ბიზნეს ჯგუფის (ბიზნეს გაერთიანება იბერია ბიზნეს ჯგუფი არის ოფიციალური დისტრიბუტორი ისეთი ცნობილი ბრენდების - KIA VOLKSWAGEN, MITSUBISHI, SKODA, AUDI, RENAULT, PEUGEOT) დამფუძნებელი პარტნიორი და პრეზიდენტი.

ბიზნეს გაერთიანება ფლობს საფეხბურთო კლუბს - „საბურთალო“ და ავტობაზრობას ქ. რუსთავის მიმდებარედ.

ფლობს რუსულ ენას.

ჰყავს მეუღლე და შვიდი შვილი.

ცნობა

ნოდარ ხადური დაიბადა 1970 წლის 29 აგვისტოს.

1987-1988 და 1990-1992 წლებში მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“.

1991-1996 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მაკროეკონომიკის სპეციალობით.

1996-1999 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

2002 წელს დაიცვა დისერტაცია (თემა - „მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“).

1999 წლიდან ასწავლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2004-2005 წლებში იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს (მაკროეკონომიკა, ეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკური რეგულირება და დაგეგმვა, საქართველოს ეკონომიკა, გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტსა და ზ. ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში.

1996-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწედ.

1997-1998 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველი, აპარატის უფროსი, შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრაციის უფროსი.

1999-2000 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის აპარატის უფროსი.

2000-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსად.

2003-2004 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე - საპარლამენტო მდივანი.

2004-2008 წლებში იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნული კონსულტანტი.

2006 წლიდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი.

კვალიფიკაცია აიმაღლა ავსტრიაში, ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში (ფისკალური პოლიტიკა, მაკროეკონომიკური ანალიზი და პოლიტიკა), შვედეთის განვითარების სააგენტოში (საგადასახადო პოლიტიკა), ეგვიპტის განვითარების სააგენტოში (ექსპორტის სტიმულირება).

არის 85-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

იყო პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად.

ცნობა

ვახტანგ გომელაური დაიბადა 1975 წლის 24 დეკემბერს, ქ. თბილისში.

2003 წელს დაამთავრა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია.

1994 – 2003 წლებში მუშაობდა სამთავრობო დაცვის სპეციალურ სამსახურში.

2003-2013 წლებში მუშაობდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პირადი დაცვის სამმართველოში.

2013 წლის 22 მარტიდან 2014 წლის 11 დეკემბრამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო 2014 წლის 11 დეკემბრიდან 2015 წლის 26 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

2015 წლის 26 იანვარს დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

დავით სერგეენკო დაიბადა 1963 წელს.

1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი.

1991 წელს დაამთავრა მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი.

1999 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა ბერლინის გულის ინსტიტუტში.

2001 წელს დაამთავრა ჰარვარდის სამედიცინო სკოლა.

2003 წელს მიიღო ოფშერული მედიცინის კვალიფიკაცია გაერთიანებულ სამეფოში.

2005-2006 წლებში გაიარა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოში, რუსთავის სამშობიარო სახლში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში (საავიაციო პოლკის ექიმი), საქართველოს სპორტის დეპარტამენტში, ჯოენის სამედიცინო ცენტრ ,,მედიქლაბჯორჯიაში".

2006 წლიდან 2012 წლამდე იყო საჩხერის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად.

ცნობა

დავით ბაქრაძე დაიბადა 1975 წლის 30 დეკემბერს, ქ. თბილისში.

1997 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, ხოლო 2001 წელს კი - სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1990 წელს მოსწავლეთა გაცვლის პროგრამით იმყოფებოდა აშშ - ის კოლორადოს შტატის საზაფხულო სკოლაში.

1995 წელს მუშაობა დაიწყო სადაზღვევო კომპანია „ალდაგში".

1996 წლის იანვრიდან ივნისამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ჟურნალისტი .

1996-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში სხვადასხვა თანამდებობებზე: საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის კონსულტანტად, ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის რეფერენტად და შემდეგ, სამართალდაცვის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის რეფერენტად.

2002-2004 წლებში იყო შვეიცარიის კონფედერაციასა და წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს - ჟენევაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი, ხოლო შემდეგ - საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

2004-2005 წლებში იყო შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოს და ჟენევაში გაეროს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

2006-2008 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის პირველი ევროპული სამმართველოს უფროსად.

2008-2010 წლებში იყო შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, ხოლო 2010-2011 წლებში - შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი (საქმეთა დროებითი რწმუნებული ფინეთის რესპუბლიკაში, ადგილმდებარეობით ქ.ჰელსინკი).

2011 წლის ივლისიდან 2012 წლის იანვრამდე იყო ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, ამასთანავე ფინეთის რესპუბ-ლიკაში საქართველოს საელჩოში საქმეთა დროებითი რწმუნებული.

2012 წლის მარტიდან 2014 წლის 14 ნოემბრამდე იყო საბერძნეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

2014 წლის 14 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკით-ხებში.

2014 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ცნობა

პაატა ზაქარეიშვილი დაიბადა 1958 წლის 4 აგვისტოს, ქ. თბილისში.

1984 წელს დაამთავრა ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1993 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემია.

1992 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის რელიგიურ უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსად.

1992-1997 წლებში იყო ქართულ-აფხაზურ ომში სამხედრო ტყვეთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კონფლიქტურ ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი.

1995 წელს ასრულებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრჩევლის მოვალეობას დევნილთა და ლტოლვილთა საკითხებზე.

1995-1997 წლებში იყო „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ (ნიუ-იორკი) იძულებით მიგრაციის პროექტის კოორდინატორი.

1995-2000 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის აპარატის უფროსი.

1995-2012 წლებში იყო კალიფორნიის უნივერსიტეტის (ირვაინი) ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის პროექტის ქართული მხარის კოორდინატორი.

1998-2012 წლებში იყო „შერიგების რესურსების“ (ლონდონი) ქართულ-აფხაზური პროექტების კოორდინატორი ქართული მხრიდან და „შლაინინგის პროცესის“ ქართული მხარის კოორდინატორი.

2000-2001 წლებში ასრულებდა საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას.

2000 წელს გახდა „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

2002-2006 წლებში იყო თბილისის საკრებულოს წევრი.

2009-2012 წლებში ხელმძღვანელობდა ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტს (ISNC).

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად რეინტეგრაციის საკითხებში, ხოლო 2014 წლის 1 იანვარს საქართველოს სახელმწიფო მინისტრად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი

ცნობა

გელა დუმბაძე დაიბადა 1965 წლის 13 ივნისს, ქ. თბილისში.

1989 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1999-2001 წლებში სწავლობდა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში.

1987-1989 წლებში ჩამოაყალიბა და იყო ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების თავმჯდომარე.

1989-1996 წლებში ჩამოაყალიბა და იყო საბავშვო ესთეტიკურ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის წოდება.

1998-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2001-2005 წლებში იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი.

2005-2007 წლებში მუშაობა განაგრძო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსად.

2007 წლიდან 2014 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა ქვეყნის საქართველოს საელჩოებში.

2014 წლის 2 ივნისიდან 2014 წლის 22 ივლისამდე იყო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

2014 წლის 22 ივლისს დაინიშნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.